საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური
LEPL LABOUR INSPECTION OFFICE

KA030488782842122

საქართველო, თბილისი 0186, მიხეილ თამარაშვილის ქ. 15ა; ცხელი ხაზი 1505; ელ.ფოსტა: infolio@moh.gov.ge
Mikheil Tamarashvili str 15a, 0186 Tbilisi, Georgia; Hot line 1505; E-mail: infolio@moh.gov.ge

№ 09/941 **11 / მარტი / 2022 წ.**

საქართველოს აჭარის ავტონომიური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია
,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარეს,
ბატონ ელგუჯა ბაგრატიონს

ბატონო ელგუჯა,

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურში 2022 წლის 14 თებერვალს წარმოდგენილ № 1059 წერილთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ქ. ბათუმში, გოგოლის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე არსებულ სამუშაო ადგილებზე დასაქმებულ პირთა შრომის უსაფრთხოებისა და შრომითი უფლებების ნორმების შესაძლო დარღვევებს, მათ შორის დასაქმებულთა შრომითი ექსპლუატაციის საკითხებს, გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური თავის საქმიანობას მათ შორის ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის პრევენციის და მათზე რეაგირების მიზნით სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად. ამასთან მოგახსენებთ, რომ შრომის ინსპექციის სამსახური ინსპექტირებას ახორციელებს დაინტერესებული პირის საჩივრის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით და „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ნორმების დარღვევის თაობაზე ნებისმიერი იდენტიფიცირებადი პირის შეტყობინების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური ახორციელებს როგორც გეგმურ (საანგარიშო წლის დასაწყისში წინასწარ დამტკიცებული ობიექტის ნუსხა), ისე არაგეგმურ (საკუთარი ინიციატივა/დაინტერესებული პირის საჩივარი) ინსპექტირებებს სამუშაო ადგილზე. თქვენ მიერ ზემოაღნიშნულ წერილში მოწოდებული ინფორმაცია კი, გათვალისწინებული იქნება ხსენებულ მისამართზე ინსპექტირების განხორციების მიზნებისთვის, როგორც შრომის უსაფრთხოების, შრომითი უფლებების, იძულებითი შრომისა და შრომითი ექსპლუატაციის შესაძლო დარღვევების გამოვლენისა და მასზე შესაბამისი რეაგირების მიზნით. რაც შეეხება, უკანონო მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოწოდების საკითხს, აღნიშნული სცდება სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის კომპეტენციას.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მთავარი შრომის ინსპექტორი ბექა ფერაძე